

# მცხეთის ჯვარი

# МЦХЕТСКИЙ ДЖВАРИ



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცხეთის ჯვარი

**(585 — 604 წ.წ.)**

მსოფლიო არქიტექტურის საგანძურში შემავალი ჯვრის ტაძარი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით ოციოდე კილომეტრზე და არაგვს გაღმიდან დაჰყურებს ძველი იბერიის დედაქალაქს მცხეთას. იგი იშვიათი მოხდენილობითაა ჩასმული არაგვისა და მტკვრის ხეობების პეიზაჟში. გენიალურმა ქართველმა ხუროთმოძღვარმა არა მარტო მთის დამამთავრებელი კომპოზიცია მოსძებნა, არამედ მან შეჰკრა ამ მიდამოების მთელი ლანდშაფტი. ხუროთმოძღვარს ისეთი სიზუსტით ჰქონია კომპოზიცია გათვლილი, რომ მან არ იკმარა მთის, მოხდენილი ბუნებრივი სილუეტი და შენობა მთის წვერიდან დასავლეთით გადასწია, რისთვისაც დასჭირდა ხელოვნური საყრდენის აგება.

ამ ადგილას, ახლად გაქრისტიანებული ქართლის ცენტრის — მცხეთის თავზე, IV ს. 30-იან წლებში აღმართული იქნა ხის ჯვარი. მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველი ქართული წარმართული სარწმუნოების დასათრგუნავად, ამიტომ ეს ადგილი მომდევნო საუკუნეებში ქრისტიანთა სათაყვანებელი იყო.

VI ს. მეორე ნახევარში სპარსელების განდევნას თან მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერება და ახალი ფეოდალური ურთიერთობის წარმატებაც. ქართლის პირველმა ერისმთავარმა გუარამმა, ხის ჯვრიდან ცოტა მოშორებით, ჩრდილოეთის მხარეს, მცირე ზომის ეკლესია ააგო. იგი თლილი ქვით ნაგები კოხტა შენობაა, სადაც საკურთხევლის კონქს მოზაიკური მხატვრობა ამშვენებდა.

აღმავალ სახელმწიფოს უკვე დიდი მასშტაბის ტაძრები შეეფერებოდა. გუარამის მემკვიდრემ სტეფანოს I, ადრევე აღმართული ჯვრის გარშემო 585 — 604 წლებში ტაძარი აღმართა. ამ ტაძრის შიდა ხალვათი სივრცე იქმნება აფსიდებით დამთავრებული ჯვარზე დამყარებული რვაგვერდა გუმბათით და ჯვრის კუთხეებში მცირე ზომის ოთხკუთხა სადგომებით. აღმოსავლეთით საკურთხევლის დამხმარე სათავსოებია, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით საქალებოა. მას გარედან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს.





ტაძრის გარეგანი მასები ჰარმონიულად შეკრულ მთლიან კომპოზიციას ქმნის. გენიალურმა ხუროთმოძღვარმა ინტერიერი და ექსტერიერი ერთმანეთს შეუხამა. მან აგრეთვე ფასადების გადაწყვეტა დაუმორჩილა ადგილმდებარეობას. დასავლეთის ფასადის აღქმა შეიძლება მხოლოდ შორიდან, მცხეთიდან, ამიტომ იგი ნაკლებადაა დანაწევრებული და მოურთავია. ჩრდილოეთის ფასადს ნაწილობრივ ადრევე აგებული ეკლესია ჰფარავდა, ამიტომ აქ კომპოზიცია მხოლოდ მასებით იქმნება. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადებს კი თავისუფალი მისადგომები ჰქონდა და ოსტატიც მათზე აკეთებს აქცენტს, რელიეფებს და ჩუქურთმას მაღალი გემოვნებით ანაწილებს.

დეკორიდან მთავარს — აღმოსავლეთის ფასადის ქტიტორთა სამი რელიეფი წარმოადგენს. ცენტრალურ რელიეფზე გამოსახულია მუხლმოყრილი სტეფანოს ერისმთავარი, მარცხნივ — დემეტრე და მარჯვნივ — ადარნესე. სამხრეთის კარის ტიმპანზე არაჩვეულებრივი სიცხოვლითაა გამოსახული ჯვრის ამაღლების სცენა, ხოლო მაღლა, სარკმლის თავზე, ქობულ-სტეფანოსის გამოსახულებაა. თუ ერისმთავრების გამოსახულებაში ჩანს დიდებულება, იგივე არ ითქმის გუმბათის ყელზე განმარტოებით მოცემულ რელიეფზე. აქ მარტივად, ვედრების პოზაში, ხუროთმოძღვარმა თავისთავი გამოსახა.

ერისმთავართა ბარელიეფებს მრავალმხრივ საინტერესო წარწერები აქვს. ამასთანავე, ისინი ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ადრეული ნიმუშებია.

მცხეთის ჯვრის ტაძარი საქართველოში ჯვარ-გუმბათოვანი არქიტექტურის პირველი და საუკეთესო ნიმუშია. მასში გამოვლინდა ქართველ არქიტექტორთა რამდენიმე თაობის შემოქმედებითი ძიება.

პ. ზაქარაია

რედაქტორი ი. ყიფიანი
მხატვრები ნ. მალაზონია, ო. ჯიშკარიანი

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1962

უე 00451 ტირაჟი 3.000 შეკვ. № 200
ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



# მცხეთის ჯვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## МЦХЕТСКИЙ ДЖВАРИ

(585—604 гг.)

Входящий в сокровищницу мирового зодчества Мцхетский Джвари расположен к северо-западу от Тбилиси на расстоянии 20 км. Величественно возвышается он над столицей древней Иберии — Мцхета, привлекая всеобщее внимание.

Храм необыкновенно удачно расположен среди пейзажа ущелий рек Куры и Арагви. Талантливый зодчий не только удачно нашел место строительства на вершине горы, но и сумел его целостно связать со всем окружающим ландшафтом местности.

В 30-х годах IV в. над столицей Картли, только что принявшей христианство, на горе был воздвигнут деревянный крест, символ победившей религии. В связи с этим это место в продолжение нескольких веков было местом паломничества христиан.

Во второй половине VI в., после изгнания персидских захватчиков, в стране наблюдается политический подъем и успех новых феодальных отношений. Первый эрисмтавари Грузии Гуарам неподалеку от деревянного креста выстроил небольших размеров церковь. Это — небольшое изящное строение, выложенное тесанным камнем. Конха алтаря церкви была покрыта мозаичной живописью. Усиление государства само по себе требовало воздвижения церквей бо́льших масштабов. Преемник Гуарама Степанос I в 585—604 гг. на месте ранее установленного креста воздвигает обширный храм. Внутреннее пространство храма создается массами, воздвигнутыми на крестообразном основании и заканчивается восьмигранным куполом. По углам креста расположены небольшие четырехугольные помещения. Восточные из них — подсобные комнаты для алтаря, северо-западная комната была предназначена для эрисмтаваров, а юго-западная, с отдельным входом, была выделена для женщин.

Наружные массы храма создают единую гармоничную композицию. Зодчий с большим мастерством сочетает решение фасадов с интерьером. При решении фасадов он также учитывает особенности расположения храма. Западный фасад можно рассмотреть только издали, со стороны



города Мцхета, поэтому он менее расчленен и без декора. Северный фасад, частично прикрываемый ранее выстроенной церковью, также не декорирован. Восточный и южные фасады имели свободные подходы и мастер на них ставит акцент; с большим вкусом распределяет он рельефы и орнаменты. На восточном фасаде привлекают внимание рельефные изображения ктиторов, т. е. людей по инициативе и на средства которых был выстроен храм. На центральном рельефе изображены каленопреклонный эрисмтавар Степанос I перед Христом, а на боковых —его братья Деметре и Андарнесе. На тимпане каждого входа с необыкновенной живописностью изображена сцена вознесения креста. А выше, над окном находится изображение эрисмтавара Кобула Степаноса. На барабане купола обособленно изображена коленопреклонная фигура. Здесь зодчий скромно изобразил самого себя.

Барельефы эрисмтаваров сопровождаются очень интересными надписями, представляющими один из первых примеров грузинской письменности.

Мцхетский Джвари первое и наилучшее произведение крестово-купольной архитектуры Грузии. В нем воплотилось творческое искание нескольких поколений грузинских архитекторов.

П. Закарая



Редактор И. Кипиани
Художники Н. Малазония, О. Джишкариани

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси—1952

УЭ 00151 Тираж 3.000 Заказ № 390
Цена 20 коп.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

PX 4772/1
3C
п29/6